განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ბიზნესის ადმინისტრირება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

24 იანვარი 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

2 თებერვალი 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	Bachelor of Business Administration/ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა კასრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა გვრიტიშილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ქარცივაძე, კინგსი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის მიზანია ევროპული ღირებულებების მქონე მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება საერთაშორისო ბაზარზე, რომელთაც ექნებათ როგორც მრავალმხრივი, ისე ბიზნესის მართვის სპეციალიზებული ცოდნა და პრაქტიკული უნარები და შეძლებენ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, მართვის მეცნიერების, ეკონომიკის პრინციპების, ფინანსების, ინგლისურისა და სხვა უცხო ენების, ფილოსოფიის, და მათემატიკის საზღვრების სიღრმისეული გაცნობიერების გზით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამის 240 კრედიტში მოიაზრება სავალდებულო კურსები (168 კრედიტი) და არჩევითი კურსები (72კრედიტი).

საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე. საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა გათვლილია 4 აკადემიურ წელზე. ერთი სასწავლო წელი შედგება შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან და მოიცავს 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი გამოცდებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში). სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.) ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 24 იანვარს ვიზიტამდე, 23 იანვარს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (დავით სიხარულიძე, თეა კასრაძე, ანა გვრიტიშვილი, დავით ქარცივაძე) და მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

24 იანვარს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან, დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან , ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. თუმცა,

კურსდამთავრებულები და სტუდენტები წარმოადგენდნენ ბიზნესის ადმინისტრირების ქართულ ენოვან პროგრამას. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო (ინგლისურ ენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #65/ნ 26[1]-ე და 27-მუხლის) გათვალისწინებით პროგრამის ხუთივე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს, თუმცა, 1.2 და 2.2 კომპონენტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდირებულია პოგრამის სავალდებულო ბლოკში ისწავლებოდეს სასწავლო კურსი ,,კვლევის მეთოდები ბიზნესში“
  - რეკომენდირებულია პროგრამის სავალდებულო ბლოკში ისწავლებოდეს სასწავლო კურსი ,,ოპერაციათა მენეჯმენტი“.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია, სასწავლო კურსებში დაფიქსირდეს კონკრეტული საგნის შეფასების კრიტერიუმები საერთო ფორმის გარეშე.
  - სასურველია მოხდეს ,,ბიზნესის კომუნიკაციების“ და ,,მეწარმეობის“ სასწავლო კურსების კრედიტების განაწილების გადახედვა და ამ სასწავლო კურსების სპეციფიკის რეალურად გათვალისწინება.
  - სასურველია პერიოდული ბიზნეს გამოცემებით უზრუნველყოფა;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სულხან–საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა ,,აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე მორგებული თანამედროვე ხარისხიანი ცოდნის გავრცელება. მისიიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია პროგრამის მიზნები, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული: ,, ევროპული ღირებულებების მქონე მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება საერთაშორისო ბაზარზე, რომელთაც ექნებათ როგორც მრავალმხრივი, ისე ბიზნესის მართვის სპეციალიზებული ცოდნა და პრაქტიკული უნარები და შეძლებენ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, მართვის მეცნიერების, ეკონომიკის პრინციპების, ფინანსების, ინგლისურისა და სხვა უცხო ენების, ფილოსოფიის, იურისპრუნდენციისა და მათემატიკის საზღვრების სიღრმისეული გაცნობიერების გზით. კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამისი კვალიფიკაციას, რომ სრულად დააკმაყოფილოს როგორც ბიზნესში, ისე სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივი სექტორში მიმდინარე პროცესების მართვასთან დაკავშირებული ვაკანსიების მოთხოვნები. კერძოდ, შეძლოს ორგანიზაციის: ფინანსური აღრიცხვა და სხვა ფინანსური მომსახურება; ლოჯისტიკა და შესყიდვების ორგანიზება; მარკეტინგული მომსახურება და პიარი; სტრატეგიული დაგეგმვა და მართვა; საკადრო პოლიტიკის შემუშავება და წარმართვა; საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული ოპერაციების მართვა; კაპიტალის ბაზარზე ფინანსური შუამავლობა; კონფლიქტების მართვა; ეკონომიკის განვითარების მიმართულებით საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა და ინოვაციური იდეების შემუშავება; კერძო და სახელმწიფო სექტორში ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობა; გლობალური მოვლენებისა და მაკროეკონომიკური ინდიკატორების გაანალიზების გზით სხვადასხვა მოვლენათა პროგნოზირება და სხვ. ასევე შეუძლია საკუთარი სწავლის მრავალმხრივი შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებებზე ზრუნვა.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის შემუშავება და გაუმჯობესება, პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების განსაზღვრა მოხდა შრომის ბაზრის შესწავლით. კერძოდ, სასწავლო უნივერსიტეტმა ჩაატარა რაოდენობრივი კვლევა, რომლის მიზანი იყო შრომისა და განათლების ბაზარზე მოთხოვნად პროფესიების, კვალიფიკაციების კვლევა. შერჩევის ზომა იყო 75.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან საუბრისას დასტურდება რომ შემუშავებულია აქვთ უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის ფარგლებში ასევ შემუშავებულია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში გაწერილია მოკლევადიანი პერსპექტივა (2018-2019 სასწავლო წლები); საშუალო ვადიანი პერსპექტივა (2-4 წელი); გრძელვადიანი პერსპექტივა. ასევე გაწერილია მოკლევადიანი, საშუალო ვადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო (ინგლისურ ენოვანი) პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი: http://sabauni.edu.ge/ge/
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

o

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

o

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

- პროგრამის მიზნიდან გამომდინარე შემუშავდა სწავლის შედეგები. სწავლის შედეგების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა შრომის ბაზრის ტენდენციები. კერძოდ, პროგრამაში ვკითხულობთ, რომ ,,კურსდამთავრებულს გააჩნია შესაბამისი სამეწარმეო ცოდნა და უნარები, რომ მოიპოვოს საჭირო კაპიტალი, შეაგროვოს ინოვაციური იდეები, ჩამოაყალიბოს ადეკვატური ბიზნეს-პროექტი, წამოიწყოს ბიზნეს-საქმიანობა, უზრუნველყოს ბიზნესის მდგრადი გაფართოება, გაიტანოს ბიზნესი საერთაშორისო ბაზარზე და ახალი სერვისების განვითარების გზით შექმნას ახალი ბრენდები და გაზარდოს პროდუქციის ცნობადობის დონე მსოფლიო მასშტაბით.
- კურსდამთავრებული შეძლებს ორგანიზაციის: ,,ფინანსური აღრიცხვა და სხვა ფინანსური მომსახურება; ლოჯისტიკა და შესყიდვების ორგანიზება; მარკეტინგული მომსახურება და პიარი; სტრატეგიული დაგეგმვა და მართვა; საკადრო პოლიტიკის შემუშავება და წარმართვა; საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული ოპერაციების მართვა; კაპიტალის ბაზარზე ფინანსური შუამავლობა; კონფლიქტების მართვა; ეკონომიკის განვითარების მიმართულებით საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა და ინოვაციური იდეების შემუშავება; კერძო და სახელმწიფო სექტორში ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობა; გლობალური მოვლენებისა და მაკროეკონომიკური ინდიკატორების გაანალიზების გზით სხვადასხვა მოვლენათა პროგნოზირება და სხვა“.

- ამ ანალიზიდან გამომდინარე, სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ეყრდნობა კვალიფიკაციის ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს. **თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგებში ვკითხულობთ, რომ ,,კურსდამთავრებულს შეუძლია ოპერაციათა მართვის მექანიზმის გამოყენება ბიზნეს გარემოში“ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლია პროგრამის ძირითად ბლოკში ისწავლებოდეს ,,ოპერაციათა მენეჯმენტი“ სასწავლო სრული კურსი. ასევე ამ საგნის სწავლება აუცილებელია ბიზნესის სფეროში მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე.**
- პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, კერძოდ, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები. დასაქმებულების ჩართულობა ძირითადად განისაზღვრებოდა მათი შრომის ბაზრის კვლევის პროცესში მონაწილეობით. დაინტერესებულ მხარებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ იცნობენ სწავლის შედეგებს და მათთვის სწავლის შედეგების გასაცნობად რამდენიმე სამუშაო შეხვედრა მოეწყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან.
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამისათვის შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შეფასებისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია არის როგორც რაოდენობრივი ასევე თვისებრივი.

განსაზღვრულია თითოეული ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი, რომელსაც უდარებენ ფაქტობრივ მაჩვენებელს, რის საფუძველზეც დგინდება ფაქტურისა და საბაზისო მაჩვენებელს შორის გადახრის კოეფიციენტი.

- სტუდენტის სწავლის შედეგების შესაფასებლად ხორციელდება სტუდენტის აკადემიური მოსწრების ანალიზი: სტუდენტის აკადემიური მოსწრების ანალიზი ითვალისწინებს ორივე სახის - გამოკითხვის (ანკეტირების) და სტატისტიკური მონაცემების გამოყენებას, ამასთან ანკეტირება ხორციელდება წინასწარ შედგენილი კითხვარებით, ხოლო სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას და ანალიზს უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის სისტემის მოდული. სტუდენტის აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზის სისტემას საფუძვლად უდევს შეფასებათა „ელექტრონული უწყისი“, რომელიც გამჭვირვალედ ხდის სტუდენტთა აღრიცხვას და შეფასებებს.
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა” - უზრუნველყოფს დადებითი შეფასების მქონე სტუდენტების რანჟირებას მიღებული ქულების მიხედვით. სტუდენტის აკადემიური მოსწრების (შეფასების) სამიზნე ნიშნულებად მიჩნეულია ECTS-ის შეფასების (რანჟირების) სკალა. ECTS-ის რანჟირება ეფუძნება მოცემული შეფასების ფარგლებში სტუდენტის ადგილს, რომელიც მას სხვა სტუდენტებისაგან გამოარჩევს. ECTS-ის მიხედვით ხდება სტუდენტთა გაერთიანება ჯგუფებში, რაც რანჟირების ინტერპრეტაციას აადვილებს.
- აკადემიური მოსწრების შედეგების ეფექტიანობის სამიზნე ნიშნულს წარმოადგენს ECTS-ის რანჟირების სკალა, რომლის მიხედვით გამოცდა ჩაბარებულთა ჯგუფის სამიზნე ნიშნულებია: სტუდენტების 10% იღებს A შეფასებას, მომდევნო 25% - B შეფასებას, შემდეგი 30% - C-ს, შემდეგი 25% - D-ს, და ბოლო 10% კი - E-ს. ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობას ECTS-ის რანჟირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.
- სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება, როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა ანალიზი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- გამოკითხვის შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები

რეკომენდაციები:

- **რეკომენდირებულია პროგრამის სავალდებულო ბლოკში ისწავლებოდეს სასწავლო კურსი „ოპერაციათა მენეჯმენტი“.**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. საქართველოს მოქალაქეებისათვის პროგრამაზე დაშვება ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე. სავალდებულოა, რომ ინგლისურ ენაში მინიმალური შეფასება იყოს 75%-ი.
- უცხო ქვეყნის მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის კანდიდატმა უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა (ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე სავალდებულოა. აპლიკანტმა ტესტში უნდა დააგროვოს მინიმუმ 61%) ან წარმოადგინოს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი. კერძოდ: FCE; IELTS- 5.5-6.5; TOEFL; TOEFL CBT; TOEFL IBT. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერტიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში კანდიდატს მოუწევს ინგლისური ენის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება.
- კანდიდატს ასევე უნივერსიტეტი ჩაუტარებს გასაუბრებას პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით და უზრუნველყოფს გასაუბრების ვიდეო ჩანაწერის სამინისტროსთვის ხელმისაწვდომობას კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში.
- ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობის, პროგრამის მიზნების, შედეგების, შეფასების სისტემის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე. დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს კონსულტაცია პროგრამების კატალოგში მითითებულ საკონტაქტო პირისგან ან უშუალოდ მობრძანდეს უნივერსიტეტში და მიიღოს დამატებითი ინფორმაცია დასაქმების პერსპექტივების, სწავლის გაგრძელების პერსპექტივების და სხვ. შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ გვერდი: http://sabauni.edu.ge/ge/
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიისა და მისი დამტკიცების წესის (ბრძანება #55-18) მიხედვით.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამა შედგება :

ზოგადი მოდულისაგან, რომელშიც შედის შემდეგი საგნები: ინგლისური ენა B2+ დონით, აკადემიური წერა, შესავალი ფილოსოფიაში 1, შესავალი ფილოსოფიაში 2, შესავალი სამართალში, პოლიტიკის შესავალი, სოციალური ფსიქოლოგია, შედარებითი პოლიტიკა, საქართველოს ისტორია, მეორე უცხო ენა.

ბიზნესის ადმინისტრირების მოდული: ბიზნეს ინგლისური, კალკულუსი 1, კალკულუსი 2, ბიზნესის სტატისტიკა, წრფივი ალგებრა, მიკროეკონომიკის პრინციპები, ბიზნესის სამართალი, მეწარმეობა, ინვესტიციების საფუძვლები, შესავალი მენეჯერულ ეკონომიკაში, საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესში 1-3.

ბიზნესის ადმინისტრირების ზოგად მოდულზე დაფუძნებულია სპეციალობის მოდულები, კერძოდ ფინანსების მოდული და მენეჯმენტისა და მარკეტინგის მოდული. ფინანსების მოდულო მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში 1, შესავალი ფინანსური აღრიცხვაში 2, შესავალი მენეჯერულ აღრიცხვაში, შესავალი ფინანსურ მენეჯმენტში. მენეჯმენტისა და მარკეტინგის მოდულო მოიცავს შემდეგი სავალდებულო საგნების სწავლებას: მენეჯმენტი, მარკეტინგის პრინციპები, შესავალი ადამიანურ რესურსებში.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პრინციპით: ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან

რთულისაკენ. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტში მოიაზრება სავალდებულო კურსები (168 კრედიტი, რომელშიც შედის საბაკალავრო ნაშრომი 15 კრედიტი და საწარმოო პრაქტიკა -10 კრედიტი) და არჩევითი კურსები (72 კრედიტი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს.

თუმცა, პროგრამის სტრუქტურისა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სტუდენტებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადება გაუადვილდებათ თუ ისინი გაივლიან სასწავლო კურსს ,,კვლევის მეთოდები ბიზნესში". ამის თქმის საფუძველს იძლევა საბაკალავრო ნაშრომის მიზანი და შინაარსი. კერძოდ საბაკალავრო ნაშრომის მიზანია ,,სტუდენტებში სამეცნიერო ტიპის კვლევების განსახორციელებლად საჭირო უნარების ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენის, პრობლემის იდენტიფიცირების, რელევანტური ინფორმაციის შეკრების, პრობლემების ფორმულირებასა და მეცნიერული მეთოდებით მათი გადაწყვეტის შესაძლებლობებს. აღნიშნულის განსახორციელებლად კურსის ფარგლებში სტუდენტი იღებს შესაბამის ცოდნას სამეცნიერო მეთოდებზე, რაც ეხმარება სტუდენტს ჰიპოთეზისა და მოდელის ჩამოყალიბებაში და კომპლექსური პრობლემის გამარტივების შემდეგ პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა ოპტიმალური გზის დასახვაში". ამ მიზნის მისაღწევად სტუდენტს მოუწევს შემდეგი აქტივობების განხორციელება: კვლევის მიზნების, კითხვებისა და ამოცანების განსაზღვრა, კვლევის გეგმის შემუშავება, აუცილებელი ლიტერატურის ანალიზი, მეთოდოლოგიის შემუშავება, მონაცემთა მოძიება და ანალიზი. ამგვარად, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში მოცემული მიზნიდან და სტუდენტის მიერ განსახორციელებელი სამუშაოებიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სასწავლო კურსი ,,კვლევის მეთოდები ბიზნესში" პროგრამის სავალდებულო ბლოკში უნდა იყოს ჩასმული.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, კერძოდ სტუდენტები, დამსაქმებლები (დამსაქმებლებთან კავშირი ძირითადად განისაზღვრებოდა შრომის ბაზრის კვლევით, ანკეტირების საშუალებით), კურსდამთავრებულები და აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები
- საგანანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.

რეკომენდაციები:

• **რეკომენდირებულია პოგრამის სავალდებულო ბლოკში ისწავლებოდეს სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ბიზნესში“**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. პროგრამაში ვკითხულობთ, (გვ.14) რომ სასწავლო დისციპლინების ფორმატი არ არის სტანდარტული, არც სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობაა სტანდარტული. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის,

თავისებურებებისა და მოცულობის გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებით, თუ რეალურად რა დრო ჭირდება კონკრეტული დისციპლინის შესწავლას. ამ პრინციპების გათვალისწინებითაა დაანგარიშებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო დროებიც. თუმცა, რამდენიმე სასწავლო კურსის კრედიტების განაწილებასთან გვაქვს მოსაზრება, კერძოდ, ,,ბიზნესის კომუნიკაციების“ სასწავლო კურსს მინიჭებული აქვს 5 კრედიტი, ხოლო სასწავლო კურსს ,,მეწარმეობას“ – 4 კრედიტი. ამ კურსების სულაბუსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გამოყენებული ლიტერატურის მოცულობა, გამოყენებული სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა თითქმის მსგავსია, მაშინ იბადება კითხვა, რა პრინციპით არის ამ საგნებზე კრედიტები განაწილებული. სილაბუსში მოცემულია შეფასების სისტემა, რომელიც დეტალურად არის გაწერილი და ფასდება თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა. თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურა არის უახლოესი და დაფუძნებულია დარგის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო კურსების სილაბუსები; • ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო (ინგლისურ ენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამა • პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები; • აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია მოხდეს ,,ბიზნესის კომუნიკაციების“ და ,,მეწარმეობის“ სასწავლო კურსების კრედიტების განაწილების გადახედვა და ამ სასწავლო კურსების სპეციფიკის რეალურად გათვალისწინება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში, ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პრაქტიკული კომპონენტების გამომუშავებას. პროგრამაში სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს საწარმოო პრაქტიკა. პრაქტიკის სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი პრაქტიკის ხელმძღვანელისა და მენტორის ფუნქცია მოვალეობები. დაწესებულების მიერ დამატებითი დოკუმენტის სახით წარმოდგენილია დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმებიც, რომლებიც ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, სილაბუსში კი განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის ყოფნის ხანგრძლივობა. გასაუბრებისას დადგინდა, რომ აღნიშნული მემორანდუმების ფარგლებში დამსაქმებლებთან შეთანხმებულია უცხოენოვანი სტუდენტების პრაქტიკის გავლის საკითხიც. გარდა საწარმოო პრაქტიკისა, ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ კონკრეტული სასწავლო კურსები ითვალისწინებს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა პრეზენტაცია, ბიზნეს გეგმის შედგენა, რაც ემსახურება სტუდენტების პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. უნივესიტეტში, ასევე, ტარდება დამატებითი კონკურსები, რომლებიც ემსახურება სტუდენტთა ცოდნის გამყარებას პრაქტიკაში. ეს ინფორმაცია დაადასტურეს თავად სტუდენტებმაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნესის ადმინისტირირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ბიზნესის ადმინისტირირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

• ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
ბიზნესის ადმინისტრირების საგანანმანათლებლო საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამაში ვკითხულობთ, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, შემთხვევის ანალიზი (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), დემონსტრირების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. სწავლება-სწავლის მეთოდები და მათი კომბინაცია გაწერილია ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში. სასწალო კურსების სილაბუსების ანალიზისას დასტურდება, რომ სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით არის გამოყენებული ზემოთ მოცემული სწავლის მეთოდების შესაბამისი კომბინაცია, რომელიც არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო (ინგლისურ ენოვანი) პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში, ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანია და გამჭვირვალე. სტუდენტებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ სასწავლო სემესტრის დასაწყისში ლექტორი მათ აცნობს საგნის შეფასების კომპონენტებს.

უნივერსიტეტში შემუშავებულია შეფასების ფორმის რამდენიმე ერთიანი ფორმა და ამ ფორმის ფარგლებში ლექტორებს აქვთ შესაძლებლობა შეფასების კომპონენტები მოარგონ სასწავლო კურსის სპეციფიკას. სილაბუსებში დაფიქსირებულია შეფასების ფორმის შაბლონი, მაგ: ზეპირი გამოკითხვა, წერითი გამოკითხვა, შუალედური გამოცდა, ინდივიდუალური დავალება, პრეზენტაცია, დასკვნითი გამოცდა. ლექტორებთან და სტუდენტებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ პრაქტიკაში წერითი გამოკითხვის, ზეპირი გამოკითხვის ან ინდივიდუალური დავალების ფარგლებში ხორციელდება განსხვავებული კრიტერიუმების გამოყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაზეც სტუდენტები ინფორმირებულები არიან. შესაბამისად სასურველი იქნებოდა სასწავლო კურსებში დაფიქსირდეს კონკრეტული საგნის შეფასების კრიტერიუმები საერთო ფორმის გარეშე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნესის ადმინისტირირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ბიზნესის ადმინისტირირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • აკადემიური მოსწრების ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • **სასურველია, სასწავლო კურსებში დაფიქსირდეს კონკრეტული საგნის შეფასების კრიტერიუმები საერთო ფორმის გარეშე.**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას. უნივერსიტეტში ეწყობა დასაქმების ფორუმები. სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ ვებ-გვერდის, ელექტრონული სისტემის და ესემესების მეშვეობით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საკონსულტაციო საათების შესახებ და აღნიშნავენ, რომ ლექტორები უწევენ კონსულტაციას ყველა საჭირო საკითხთან დაკავშირებით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში. ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა ახალია უნივერსიტეტისათვის, თუმცა უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ერასმუს+ გაცვლითი პროგრამა. ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებმა კი ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ შესაძლებლობა აქვთ მიიღონ

მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტატისტიკა. ინტერვიუებისას ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის დაფინანსებით უნდა დაესწროს კონფერენციას პრაღაში. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ჟურნალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნესის ადმინისტირირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ბიზნესის ადმინისტირირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტატისტიკა; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს 39 პერსონალი, მათ შორის 17 აკადემიური, და 22 მოწვეული. აღსანიშნავია, რომ სწავლების პროცესში ჩართულია 4 უცხოელი ლექტორი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას დასტურდება, რომ მათ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის სტრუქტურა ისეა აწყობილი, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ჯეროვან წარმართვას. ვინაიდან ჯერ მხოლოდ პროგრამის მიმდინარეობის პირველი სემესტრია ჩავლილი, ამიტომ აღნიშნული დასკვნა ეფუძნება მხოლოდ პირველი სემესტრისა და პროგრამის ანალიზს. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩანია როგორც აკადემიური ასევე სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება და ის უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის სტუდენტები უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილნი არიან 47 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული პერსონალის გუნდში სპეციალურად გამოყოფილია თანამშრომელი, რომელიც უცხოელ სტუდენტებს ეხმარება საქართველოს პირობებში ცხოვრების ადაპტირებაში, ნებისმიერ საჭირო საკითხზე უწევს მათ კონსულტაციასა და დახმარებას. ასევე, სპეციალური თანამშრომელი არის გამოყოფილი უცხოელი სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების კონსულტირებისა და საჭიროებისამებრ დახმარების უზრუნველსაყოფად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- ქართული სექტორის სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
- პროგრამის აღწერა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სასწავლო უნივერსიტეტი წლებია ახორციელებს ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვან პროგრამას და აქედან გამომდინარე ხარისხის მართვის სამსახურს აქვს შემუშავებული შესაბამისი პროცედურები აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის საქმიანობის შესაფასებლად. ქართულენოვან პროგრამაზე ის პერიოდულად ახორციელებს სწავლების პროცესში ჩართული აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის შედეგების შეფასებას ანალიზსა და პერსონალთან უკუკავშირს. ინგლისურენოვანი პროგრამის

შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური აპირებს აღნიშნული პროცედურების კიდეც უფრო გაუმჯობესებასა და დანერგვას. სასწავლო უნივერსიტეტი სრულად მხარს უჭერს პერსონალს მათი პროფესიული განვითარების მიმართულებით. ,,ფსიდ ფუნქციონირებს განვითარების კვლევების ინსტიტუტი. ადმინისტრაცია ფინანსურად მხარს უჭერს პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას. ასევე მოწვეული და აკადემიური პერსონალი სარგებლობს Erasmus+-ის გაცვლითი პროგრამებით. ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი ფინანსური რესურსები, ასევე საჭიროების შემთხვევაში თანხების მობილიზება შესაძლებელია უსდ-ს ცენტრალური ბიუჯეტიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და თანდართული დოკუმენტები • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები • პროგრამის ბიუჯეტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია პროექტორებით. ფუნქციონირებს შესანიშნავად მოწყობილი ბიბლიოთეკა, საპროფესოროები, სტუდენტებისთვის მოსასვენებელი სივრცე, სპორტდარბაზი. აღსანიშნავია, რომ სპორტდარბაზით სარგებლობა უფასოა როგორ სტუდენტებისთვის ასევე კურსდამთავრებულებისთვის. ბიბლიოთეკა აღჭურვილია საერთაშორისო ბიბლიოთეკებთან წვდომით. შეინიშნება პერიოდული ბიზნეს გამოცემების სიმწირე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • მატერიალური სასწავლო რესურსების დათვალიერება • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • **სასურველია პერიოდული ბიზნეს გამოცემებით უზრუნველყოფა**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სასწავლო უნივერსიტეტს დეტალურად აქვს წარმოდგენილი პროგრამის განხოციელების ოთხივე წლის შემოსავლები და ხარჯები. უნივერსიტეტის კანცლერის განცხადებით, უსდ პრიორიტეტულად უყურებს აღნიშნული ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელებას და პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ დაიწყებენ აქტიურ მარკეტინგულ ღონისძიებებს უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის დაფუძნებებია რომის კათოლიკური ეკლესია, რომელიც თავისი საგანმანათლებლო არხების გამოყენებას გეგმავს აფრიკისა და აზიის ქვეყნებში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია პროგრამის დაფინანსება უსდ-ს ცენტრალური ბიუჯეტიდან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევდია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები o პროგრამის ბიუჯეტი
რეკომენდაციები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ეფუძნება პრინციპს: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს პროგრამის ხარისხის შეფასების შემდეგი შიდა მექანიზმები: ა) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების მექანიზმები ბ) სწავლების შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი გ) სასწავლო პროცესის შეფასების მექანიზმი დ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი ე) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების შესასწავლად ხორციელდება კვლევები და მისი შედეგების გაანალიზების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა. ვინაიდან პროგრამა ახალია (მან 2018 წლის 12 იანვარს მიიღო პირობითი აკრედიტაცია) და ჰყავს მხოლოდ პირველი სემესტრის სტუდენტები, ამ პროგრამით დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები ჯერ არ ჩატარებულა. თუმცა, სასწავლო დაწესებულებამ წარმოადგინა მონათესავე პროგრამაზე (ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი პროგრამა) ჩატარებული კვლევების ანალიზი. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის და პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების და კურსდამთავრებულების

ინტერვიუების შედეგად ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც გამოიყენება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის გასაუმჯობესებლად და სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და დამსაქმებლებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოხდა მათი არაერთი მოსაზრების გაზიარება და საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებებიც განხორციელდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტების/დამსაქმებელების/კურსდამთავრებულების/აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი, ბრძანება #55-18
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები;
- უნივესიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი;
- სასწავლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენება“ დოკუმენტის თანახმად სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგი გარე მექანიზმები:

ა) ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;

ბ) ინგლისურენოვანი ან/და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ან/და საგანმანათლებლო პროგრამების ცალკეული კომპონენტების ერთობლივად განხორციელების შემთხვევაში, შესაბამისი ქვეყნის ან/და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სააკრედიტაციო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარდა.

გ) საჭიროების შემთხვევაში განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

თუმცა, ჩამოთვლილი მექანიზმებიდან სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასებისათვის გამოყენებულია მხოლოდ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ 2018 წელს ჩატარებული პროგრამის აკრედიტაცია. წარმოდგენილი დოკუმეტების შესწავლის და ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ უნივერსიტეტი ყურადღებით ეკიდება პროგრამის გარე ხარისხის შეფასების/აკრედიტაციის ფარგლებში მიღებულ რეკომენდაციებსა და გამოთქმულ რჩევებს. პროგრამის წინა აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციებისა და რჩევების პრაქტიკულად სრული გაზიარების საფუძველზე მოხდა საბაკალავრო სასწავლო პროგრამის მოდიფიცირება-განახლება.

კერძოდ, აკრედიტაციის ექსპერტების მიერ მიცემული რეკომენდაციების საფუძველზე:

1) გადაიხედა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. ისინი გახდა უფრო მეტად კონკრეტული, ლაკონური და თანმიმდევრული. სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა ფართე ფორმულირებით ისე, რომ თავისთავში მოიცვა ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, რამაც შესაძლებელი გახდა არსებული კავშირების იდენტიფიცირება პროგრამით და ცალკეული სასწავლო კურსებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს შორის, რამაც სწავლის შედეგები კიდევ უფრო მეტად გაზომვადი გახადა.

2) მარკეტინგ/მენეჯმენტის მოდული გაძლიერდა და დაემატა ექვსი სასწავლო კურსი: სამომხმარებლო ქცევა, ოპერაციული მენეჯმენტი, რეკლამა და გაყიდვების სტიმულირება, ბრენდის სტრატეგიული მართვა (ბრენდინგი), ფასწარმოქმნის სტრატეგია და ტაქტიკა, ციფრული მარკეტინგი.

3) სასწავლო კურსების სტრუქტურა და შინაარსი შემუშავდა ისე, რომ მოხერხდა სხვადასხვა საგნებში კვლევის ელემენტების დაგეგმვა

4) სასწავლო კურსები: კალკულუს 1, კალკულუს 2, ბიზნესის სტატისტიკა და წრფივი ალგებრა, მოდიფიცირდა ისე, რომ უკეთ მოერგო ბიზნესის ადმინისტრირებისთვის საჭირო კომპეტენციებს

5) გამოიკვეთა საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი ბიზნესში. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამის გარდა,

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისთვის მონაცემთა ბაზების მართვასთან დაკავშირებული კომპიუტერული პროგრამების სწავლებას. შედეგად შეიქმნა შემდეგი დასახელების სასწავლო კურსები: საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესის ადმინისტრირებაში 1, საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესის ადმინისტრირებაში 2, საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესის ადმინისტრირებაში 3, საინფორმაციო ტექნოლოგიები მენეჯმენტსა და მარკეტინგში 1 და საინფორმაციო ტექნოლოგიები მენეჯმენტსა და მარკეტინგში 2 6) საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა საწარმოო პრაქტიკის კურსი. ასევე, სამეწარმეო საქმიანობის სწავლების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა ორი პრაქტიკული შინაარსის სასწავლო კურსი: მეწარმეობა და საწარმოო რესურსების დაგეგმვა 7) ცვლილებები შევიდა სასწავლო კურსების სილაბუსებში. სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა იმგვარად, რომ მისაღწევი შედეგი უფრო გაზომვადი გახდა 8) შეიცვალა სწავლის შედეგების კომპეტენციის რუკა. უფრო ფართე კონტექსტში შესაძლებელი გახდა პროგრამული და ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების ერთმანეთთან დაკავშირება 9) პროგრამის შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას დაემატა ის დეტალები, რომელიც წარმოადგენდა მომხმარებლების ინტერესის სფეროს 10) ვებ გვერდზე განთავსდა დამატებითი ინფორმაცია ინგლისური ენის გამოცდის კრიტერიუმებთან დაკავშირებით და აკადემიური მოთხოვნები უცხოელი სტუდენტებისთვის 11) გაღრმავდა პროგრამის თანამშრომლობა ევროპის და სხვა უნივერსიტეტებთან 12) დაიგეგმა დასაქმების ბაზრიდან მოწვეული სპეციალისტების ჩართვა სწავლების პროცესში. ასევე, გაფორმდა ხელშეკრულებები უცხოელ პროფესორებთან, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩაატარებენ მასტერ-კლასებს. 13) სასწავლო კურსების მიხედვით განახლდა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა 14) დაიხვეწა ფორმალური პროცედურები, რამაც უნდა უზრუნველყოს სასწავლო პროგრამების ხარისხის ამაღლებაში ყველა მასწავლებლის, სტუდენტის, კურსდამთავრებულისა და დამსაქმებლის ჩართულობა. ასევე, გაძლიერდა ხარისხის ამაღლების ღონისძიებები და შეიქმნა შესაბამისი მექანიზმები, რის მიხედვითაც გაიზარდა პროგრამის თვითშეფასებისა და გარე შეფასებისხელმისაწვდომობა დაინტერესებული მხარეებისთვის. 15) საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით დაინერგა ახალი მომსახურების ტიპები, რომელშიც იგულისხმება შემდეგი ტიპის აქტივობები: საერთაშორისო სტუდენტთა მომსახურება (საცხოვრებელი პირობები, კონსულტაციები და ინფორმირებულობა); შიდა კომუნიკაცია, რეკლამა (ბუკლეტები, ვებგვერდზე ინფორმაცია, ლიფლეტები და სხვა), დაფინანსების წყაროები, სტუდენტებისა და თანამშრომლების ინფორმირებულობა მობილობასთან დაკავშირებით (აპლიკაციის შევსება, ვიზის საკითხები, საცხოვრებელი პირობები, დაზღვევა, ჩასვლა, სოციალური აქტივობები, საორიენტაციო კვირების მოწყობა, სასწავლო ხელშეკრულების მომზადება, ნიშნების ფურცლის შევსება, შეფასება, მობრუნება, აღიარება, მობილობის ბოლოს ანგარიშების წარდგენა), საზაფხულო სკოლები, მასპინძლობის სერვისები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასების შედეგების და მათი გამოყენების დოკუმენტი

- ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- უსდ-ს ვებ-გვერდი
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;
- უსდ-ს ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, პროგრამა ახალია, ჰყავს მხოლოდ პირველი სემესტრის სტუდენტები, რის გამოც უშუალოდ ამ პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ჯერ არ განხორციელებულა. თუმცა, მონიტორინგის და შეფასების მიზნით უსდ-ს დანერგილი აქვს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვისა და მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის პრაქტიკა. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პრაქტიკის არსებობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებითაც. ექსპერტების მიერ

შესწავლილი იქნა უსდ-ს მიერ წარმოდგენილი კვლევები. ინტერვიუების დროს გამოკითხულმა სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა, მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა, დამსაქმებლებმა დაადასტურეს გამოკითხვაში მონაწილეობა. ისინი მთლიანობაში იცნობენ საგანმანათლებლო პროგრამას და მონაწილეობენ მის მონიტორინგში.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით უნივერსიტეტში წელიწადში ერთხელ ხორციელდება კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევა, დამსაქმებლები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი და სტუდენტები აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამას და სასწავლო კურსებს. შეფასების ფორმები შემუშავებულია და დამტკიცებულია ბრძანებით. მიღებული შედეგების საფუძველზე ხარისხის მართვის სამსახური ადგენს პროგრამის შეფასების ანგარიშს, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად სემესტრში ერთხელ ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას. სემესტრში ერთხელ ხორციელდება აგრეთვე სასწავლო პროცესის შეფასება, ხოლო წელიწადში ერთხელ სამეცნიერო საქმიანობის შეფასება. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ახდენს ასევე თვითშეფასებას, რომლის დამუშავებაც ხორციელდება ხრისხის უზრუნველყოფის სამსახური მიერ.

სასწავლო დაწესებულება ახდენს ზემოთ ჩამოთვლილი გამოკითხვებისა და შეფასებების შედეგების ანალიზს და იყენებს მას პროგრამის გასაუმჯობესებლად.

უსდ-ს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის მიზნით გაკეთებული აქვს მისი დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. კერძოდ, მოხდა პროგრამის დადარება კლაიპედას (ლიტვა) და ლუბლინის (პოლონეთი) უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში;
- უნივესიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული მონიტორინგის მასალები, შედეგების ანალიზი, რეკომენდაციები.
- ინტერვიუები პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა დავით სიხარულიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თეა კასრაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ანა გვრიტიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა დავით ქარცივაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა